ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული იურიდიული პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

<u>**შეიცვალოს ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1.1.6.1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**</u>

„7.1.1.6.1 არ არიან/იქნებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ან/და ევროკავშირის ან/და გაერთიანებული სამეფოს (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო) ან/და ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური აქტივების კონტროლის სამმართველოს (OFAC), სახელმწიფო დეპარტამენტის, ვაჭრობის სამინისტროს ან/და საქართველოს ან/და რომელიმე სხვა სახელმწიფოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის (შემდგომში ერთად ან ცალ-ცალკე „უფლებამოსილი პირ(ებ)ი“) მიერ სანქცირებულ პირთა სიაში (შემდგომში „სანქცირებულ პირთა სია“), მათ შორის ტერორიზმის მხარდაჭერისთვის ან/და სხვა ნებისმიერი ქმედებისთვის რასაც დროდადრო განსაზღვრავენ უფლებამოსილი პირ(ებ)ი.“

<u>**შეიცვალოს ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.5 პუნქტის 7.5.3 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**</u>

„7.5.3 ბანკის აუდიტორებს, კონსულტანტებს, მრჩეველებს, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს და სხვა მსგავსი კატეგორიის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, საჭიროების შესაბამისად / აღნიშნულ სუბიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების/პირობ(ებ)ის ფარგლებში, მათ შორის საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ ბანკის და/ან ბანკის კლიენტების აუდიტის/შეფასების/შემოწმების/ანალიზის მიზნით, გადასცეს კლიენტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია/მონაცემი და კლიენტთან გაფორმებული ნებისმიერი გარიგება. წინამდებარე ქვეუნქტში მითითებული სუბიექტები, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.“

<u>**შეიცვალოს ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.3.3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**</u>

„8.3.3 დახუროს კლიენტის ანგარიში კლიენტის მიერ ბანკთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის, ანგარიშზე 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ნაშთის არარსებობის ან/და ანგარიშის მეშვეობით ოპერაციების განუხორციელებლობის შემთხვევაში (ამ პუნქტის მიზნებისთვის ოპერაციის განხორციელებად არ ჩაითვლება ბანკის მომსახურების საფასურის / საკრედიტო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული გადასახდელ(ებ)ის გადარიცხვა/ჩამოწერა კლიენტის ანგარიშიდან). ბანკში კლიენტს ანგარიში ასევე დაეხურება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. ანგარიშის დახურვის შემთხვევაში კლიენტს დაუბრუნდება შესაბამის ანგარიშზე რიცხული თანხა, რა შემთხვევაშიც ძალაში შევა ხელშეკრულების 8.2.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა (ბანკის უფლებამოსილება).“

<u>**შეიცვალოს ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.3.5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**</u>

„8.3.5 მოახდინოს კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ის ბლოკირება - ანგარიშ(ებ)ზე/ანგარიშ(ებ)იდან შეზღუდოს აქტიური ოპერაციები (თანხის შეტანა/გატანა, ჩარიცხვა/გადარიცხვა, კონვერტაცია და სხვ.), ანგარიშ(ებ)ზე/ანგარიშ(ებ)იდან 2 (ორი) წლის განმავლობაში საბანკო ოპერაციების განუხორციელებლობის შემთხვევაში (ამ პუნქტის მიზნებისთვის, საბანკო ოპერაციის განხორციელებად არ ჩაითვლება ბანკის მომსახურების საფასურის / საკრედიტო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული გადასახდელ(ებ)ის გადარიცხვა/ჩამოწერა კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან). ამასთან, საბანკო ანგარიშ(ებ)ის ამ პუნქტით განსაზღვრული საფუძვლით ბლოკირების შემთხვევაში, კლიენტი ვერ შეძლებს საბანკო პროდუქტ(ებ)ის / მომსახურების მიღებას (რეგისტრაციას, სარგებლობას და ა.შ.), ბანკის მიერ წინასწარ განსაზღვრული ქმედებების კლიენტის მხრიდან სრულად განხორციელებამდე (შესრულებამდე).“

<u>შეიცვალოს ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.1.4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„12.1.4 ბარათით სარგებლობის წესები დეტალურად მოცემულია ,,ვიზა'' (VISA) და ,,მასთერქარდ'' (MasterCard) საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების ვებგვერდებზე (https://www.visa.com.ge/ka_GE/support/consumer/visa-rules.html; https://www.mastercard.us/en-us/business/overview/support/rules.html).”